სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/87

ქ. თბილისი 02 05 2019 წ.

სტუ-ში 2019 წლის გაზაფხულზე ორგანიზებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პირველად საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით ტესტირების ჩატარების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების' დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების, ,,2019 წლის გაზაფხულზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების განრიგის განსაზღვრისა და ტესტირების მაქსიმალური ხანგრძლივობის დადგენის თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 2 მაისის №557 ბრძანებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სტუ-ში 2019 წლის გაზაფხულზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისათვის პროფესიული ტესტირების კომისიის შემადგენლობა (იხ. დანართი);
2. სტუ-ში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის ტესტირება ჩატარდეს 2019 წლის 2 მაისს 11:00 საათიდან 13:00 საათამდე (მის.: თბილისი, მ. კოსტავას 68, სტუ-ის I კორპუსი, კომპიუტერული ცენტრი);

3. ტესტირება ჩატარდეს აპლიკანტის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხურის შესაბამისი თითოეული აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვის გზით;
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს თამარ წერეთელს;
5. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი

არჩილ ფრანგიშვილი

დანართი

სტუ-ში 2019 წლის გაზაფხულზე ორგანიზებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის პროფესიული ტესტირების კომისიის შემადგენლობა

1. ეკატერინე ნარეშელაშვილი - სწავლების დეპარტამენტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);
2. თამარ კობერიძე - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი (კომისიის წევრი);
3. თამუნა მახარაშვილი - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი (კომისიის წევრი);
4. მარიამ ყავრელიშვილი - ,,კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი" პროგრამის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი)